პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 10 სექტემბერი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.—თვიურად 80 კ.

# წითელი არმიელი

204 (902) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომ3. სტრ.

## სასროლო სპორტი და შვებული წითელ არმიელი.

მომავალი ომი ეს უმეტესად —საჰაერო და ქიმიური ომია. ამიტომაც საჭიროა რათა სამხედრო საქმეს, სამხედრო თავდაცვას გაცნობილ იქმნას მშრომელთა ფართე მასა. საჭიროა, რათა ყოველმა მუშამ და გლეხმა იცოდეს იარაღის ხმარება, მასთან კარგი სროლაც.

ამ მნიშვნელობით ვლაპარაკობთ ჩვენ მოსახლეობის გასამხედროების შესახებ. როცა მტრის თვითმფრინავი ზურგიდან შემოიჭრება, მოსახლეობა სავსებით მზად უნდა იყოს თავდაცვისათვის. მას უნდა შეეძლოს არა მარტო მტრის ჰაეროპლანისაგან თავის დაცვა, არამედ კარგი სროლაც, რომ ძირს ჩამოაგდოს სიკვდილის მგვრელი მანქანა.

მოსახლეობის გასამხედროების ერთ ერთ სახეს წარმოადგენს სასროლო სპორტის ფართე ნიადაგზე დაყენება. ჩვენ უნდა მივაღწიოთ მას, რომ ყოველმა მშრომელმა იცოდეს კარგი და მარჯვე სროლა.

რამდენათ მეტი იქნება ჩვენ საბჭოთა კავშირში კარგ მსროლელთა რიცხვი, იმდენათ მაღლა იქნება დაყენებული თავდაცვის საქმე.

კაპიტალისტურ ქვეყნებში ათასგვარი სასროლო საზოგადოებები არსდება, სადაც ბურჟუაზია იზიდავს მრავალ ათას მოქალაქეებს, რომ შეასწავლოს მათ სასროლო საქმე და შემდეგ გამოიყენოს ისინი თავისი მიზნებისათვის.

საჭიროა საბჭოთა კავშირშიც გამრავლდეს კარგი მსროლელთა რიცხვი, ფართედ განვითარდეს სასროლო სპორტი.

ვინც კარგად იცის სროლა და იარაღის ხმარება, ის მუდამ გულმაგარია ომის დროს, არას დროს მას შიში არ იტანს და იმედი აქვს, როგორც თავისი თავისა, ისე თავის იარაღისაც. აი რატომ არის კარგი სასროლო სპორტის რაც შეიძლება ფართედ გავრცელება.

შვებულებაში წასულ წითელარმიელებმა უნდა ითავონ სასროლო საზოგადოებების დაარსება, ამ საზოგადოებების საშუალებით უნდა მოაწყონ „ტირები“ (სასროლო ადგილები) და ყოველ მხრივ ხელი შეუწყონ სასროლო სპორტის განვითარებას. როგორც გამოქნილებმა მათ სხვებსაც უნდა ასწავლონ მარჯვე სროლა და იარაღის წესიერად ხმარება.

ამით შვებული წითელ-არმიელი თავის თავსაც ასარგებლებს მით, რომ უფრო დახელოვნდება მარჯვე სროლაში და მუშურ-გლეხურ სახელმწიფოსაც დიდ სარგებლობას მოუტანს მით, რომ შეიძენს კარგი მსროლელთა ახალ კადრს.

შვებულო წითელ-არმიელო, ყოველ მხრივ ხელი შეუწყვე სასროლო სპორტის განვითარებას!

## ახალი რადიო-ამბები

### საბჭოთა მფრინავები ტოკიოში.

რუსეთ-იაპონიის საზოგადოებამ საბჭოთა მფრინავების საპატივცემლოდ გამართა ბანკეტი (საზეიმო ვახშამი), რომელ-



მფრინავი გრომოვი, რომელიც პირველად ჩაფრინდა ტოკიოში.

შიაც მონაწილეობა მიიღეს საგარეო და სამხედრო სამინისტროთა გამოჩენილმა წარმომადგენლებმა. დაპატიჟებული იყვნენ აგრეთვე საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენელი კოპპი და წარმომადგენლობის სხვა წევრები. მისალოცი სიტყვით გამოვიდა ვიგონტი გოტო (ტოკიოს, იაპონიის დედაქალაქი, ქალაქის თავი), რომელმაც აღნიშნა იაპონიის ხალხის მისწრაფება საბჭოთა კავშირთან დაახლოვებისაკენ და ამ გადაფრენის მნიშვნელობა დაახლოვების განმტკიცების საქმეში. დასასრულ გოტომ საბჭოთა მფრინავებს მიართვა ვერცხლის პორტსიგარები.

### ბულგარეთის სახალხო ყრილობა ცანკოვის რეჟიმის შესახებ.

სახალხო ყრილობაში, გლეხურ პარტიის დეპუტატების შეკითხვაზე, თუ რატომ იდევნებიან გლეხურ კავშირის წევრები, ცანკოვმა უპასუხა, რომ ბულგარეთის ეხლანდელი მთავრობა გადამწყვეტ ბრძოლას უცხადებს „ბუნტარულ“ ელემენტებს გლეხურ-კომუნისტურ ფრონტიდან. მთავრობა, განაგრძო ცანკოვმა, მზადაა დაუბრუნოს თავისუფლება გლეხთა კავშირის იმ წევრთ, რომლებიც ყოველგვარ კავშირს გასწყვეტენ ბოლშევიკებთანო“. ოპოზიციონურ (მთავრობის მოწინააღმდეგე) პარტიების მიერ შეტანილი უნდობლობის წინადადება სახალხო ყრილობის უმრავლესობის მიერ უარყოფილი იქმნა.

### კომუნისტების დევნა ინგლისში.

გაზეთ „დეილი მეილის“ ცნობით, ინგლისის სასამართლოების ხელისუფლებამ გადასწყვიტა ეხლავე გამართონ კამპანია კომუნისტების წინააღმდეგ, რომლებიც პასუხის მგებელი არიან „ჯარში პროპაგანდისათვის“. საშინაო საქმეთა სამინისტრომ ნება დართო აღნიშნულ პირთა დატუსაღებაზე. აგრეთვე გადაწყვეტილია დევნა აღძრა სასამართლოს წესით მუშურ უმცირესობათა მოძრაობის ბელადების საკალტვალას და ტომ მანის წინააღმდეგ.



საკალტვალა.

### ჩინეთის გართულებული მდგომარეობა ინგლისს აწუხებს.

ჩინეთის მდგომარეობით ძლიერ შეწუხებული არიან ინგლისის დიპლომატიური წრეები. გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“ საყვედურით მიმართავს ჩინელებს, რატომ სთვლიან ეს უკანასკნელნი ინგლისელებს თავის მტრებათ, მაშინ, როდესაც ინგლისელები თავის თავს ჩინეთის მეგობრათ სთვლიან. კორესპონდენტი ჩინეთის ინგლისისადმი დამოკიდებულების გამოკვლას აბრალობს „ბოლშევიკურ პროპაგანდას.“

## ერთი საზიზღრობის ამბავი.

### ამხ. გიბნერის, ვნიევსკის და რუტკოვსკის დახვრეტის დაწვრილებითი ცნობები.

ვარშავიდან იტყობინებიან მაყურებლის მიერ ნაამბობ დაწვრილებითი ცნობებს ამხ. გიბნერის, კნიევსკის და რუტკოვსკის დახვრეტის შესახებ.

ციხიდან გამოყვანისას, დახვრეტის ადგილზე ამხ. გიბნერმა წარმოსთქვა რევოლიუციონური სიტყვა, რაშიაც ის მოუწოდებდა მხლებელ ჯარისკაცებს დადგნენ პროლეტარიატის მხარეზე და მომავალი ბრძოლების დროს თავისი სისხლით დაიცვან საკუთარი კლასიური ინტერესები.

ამხანაგო, ჯარის კაცებო, ისწავლეთ ჩვენზე კარგი სროლა, რომ შემდეგ ტყვია არ ააცდინოთ ბურჟუაზიის გარეწარებს“.

დახვრეტის დროს, სამნივემ უარი განაცხადა თვალების ახვევაზე. ჟანდარმებმა მოინდომეს ძალით აეხვიათ თვალები, მაგრამ მისჯილთა სიტყვებმა იმდენათ იმოქმედეს დამსწრეებზე, რომ ეს ველარ შესძლეს თვით ჟანდარმებმაც. ჯარის კაცებს თოფები უცახცახებდათ ხელში და ამიტომ პირველი სროლის შემდეგ მიზანს მოხვდა მხოლოთ 6 ტყვია.

კერძო საუბრის დროს პროკურორმა სკოჩინსკიმ სთქვა, რომ მათი დახვრეტა—ეს პოლიტიკური ჩვენი სიგლახეა და მეტი არაფერიო.

## საბჭოთა კავშირის კომისია ბენდერში.

ბენდერში ჩავიდა საბჭოთა კავშირის კომისია საკოვსკის თავმჯდომარეობით. კომისია მოლაპარაკებას აწარმოებს რუმინეთის კომისიასთან დნესტრზე გადასვლის და ნაოსნობის მოწყობის შესახებ.

## გერმანიის პროფკავშირების ყრილობის შესახებ.

ამ დღეებში დასრულდა გერმანიის პროფკავშირების ყრილობა. რა ნიშნის ქვეშ ჩატარდა ის და რა გადაწყვეტილებები გამოიტანა?

ამაზე საუკეთესო პასუხს იძლევა თვით ყრილობის შემადგენლობა, რომელიც 90 პროც. შემთანხმებლებისაგან შესდგებოდა.

გერმანიის პროფმოძრაობის გამყიდველ ბელადებმა იმ თავითვე ყოველ გვარი ზომები მიიღეს რათა ყრილობაზე არ გასულიყო არც ერთი კომუნისტი დელეგატი.

მუშათა კლასის გამცემლები მთელი თავისი ენერგიით ებრძვიან მუშათა კლასის მთლიან ფრონტს, რომელსაც იცავენ კომუნისტები. სოციალ გამყიდველები სცდილობენ რათა მუშათა მასები ააცდინონ შეურიგებელ რევოლიუციონური ბრძოლის გზას და გახადონ ისინი კაპიტალის ყურმოჭრილ მონად.

ამ ყრილობაზე მათ ჯამი გაუკეთეს თავის გამცემლურ მუშაობას ე. ი. იმას თუ რამდენათ შესძლეს მათ მუშათა კლასის მოტყუილება და მისი კაპიტალისტების საწველ-ფურად გახდომა.

და უნდა ითქვას, რომ სოციალ-გამცემლებმა ამ მხრივ დიდ შედეგებს მიაღწიენ.

რას წარმოადგენენ დღეს გერმანიის მუშათა პროფ ორგანიზაციები. გამყიდველ ბელადების წყალობით მათი წევრთა რაოდენობა თითქმის განახევრდა. 1922 წელში გერმანიის პროფკავშირების წევრთა რიცხვი 9 მილიონს უდრიდა, 1925 წლის მარტში კი მხოლოდ 4 მილიონს.

აი რას მიაღწიეს სოციალ-გამყიდველებმა.

ისინი ხელს უწყობენ მუშათა კლასის დაქსაქსვას, მისი ორგანიზაციების დანგრევას. და აი ასეთი მუშაობას ყრილობა იწონებს და პროფმოძრაობის ხელმძღვანელად ისევ ძველ პირებს ირჩევს.

ამრიგად გერმანიის პროფმოძრაობა კვლავ სოციალ-გამყიდველების ხელშია, კვლავ ის ძველი შემთანხმებლური, მოღალატური გზით განაგრძობს სვლას. მაგრამ ეს გზა საბედისწეროა თვით შემთანხმებლებთათვის.

თანდათანობით ხდება გერმანიის პროლეტარიატის გამოფხიზლება. კაპიტალისტების უსაზღვრო გაყვლეფა და გამყიდველ ბელადების მუდამ ღალატი დაბოლოოს შეაგნებინებს მუშებს მათ მდგომარეობას. ამასვე ხელს შეუწყობენ ის მუშათა დელეგატები, რომლებმაც ნახულეს საბჭოთა კავშირი და მტკიცედ გადასწყვიტეს იბრძოლონ მუშათა მთლიანი ფრონტისათვის. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ყრილობაზე ნება არ დართეს გერმანიის მუშათა დელეგაციის თავმჯდომარეს ფრეიბერგერს გაეკეთებია მოხსენება საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შესახებ. სოციალ-გამყიდველები შეუშინდენ სიმართლეს. მაგრამ როდემდის დამალავენ ისინი მას? ადრე თუ გვიან გერმანიის პროლეტარიატი გაიგებს ყველაფერს. ის გაიგებს სიმართლეს როგორც საბჭოთა კავშირის შესახებ ისე თავისი ყვითელი ბელადების შავი საქმეების შესახებ. ვაი მაშინ შემთანხმებელ ბელადებს.

პროლეტარიატი შეუბრალებელი იქნება მათდამი, ისე როგორც თავისი კლასობრივ მტრის-ბურჟუაზიის მიმართ.

—გ.

# ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲡ.

იმ დროს, როცა დასავლეთ ევროპის ყველა სახელმწიფოებმა და ამერიკამ გაითვალისწინეს რა სროლაში ვარჯიშობის მნიშვნელობა და სარგებლობა სამხედრო საქმისთვის, აარსებენ ასობით და ათასობით სროლის სავარჯიშო საზოგადოებებს, რომლებშიაც ჩათრეულია ასი ათასობით ადამიანები, ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში სროლის სპორტი თითქმის არც კი არსებობს.

დასავლეთ ევროპის ფაშისტურ ნიღაბში გახვეულ ჯომარდ-მსროლელს ჩვენ უნდა დაუპირდაპიროთ ჩვენი წითელი მსროლელი—პროლეტარი.

**სროლის სპორტის განვითარების საქმეს ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაძლევთ**, რადგან ის ყოველ სროლაში მოვარჯიშე მოქალაქიდან იმუშავებს აუღელვებელ და კარგ მსროლელს, რომელიც ბრძოლის დროს იქნება დარწმუნებული როგორც თავის თავზე, ისე იმ იარაღის სიკარგაზე, რომელიც მის ხელთ იქნება. ამიტომ მშრომელთა ფართე მასის სროლის შესწავლა—არის ერთ ერთი უმთავრესი ამოცანა ჩვენი კავშირის გამაგრების და დაცვის საქმეში და წითელი ჯარის საბრძოლო ძლიერების ამაღლებაში. ამასთან ერთად ყოველ პროლეტარს ეძლევა საშუალება თავისუფალი დრო მოახმაროს სასარგებლო საქმეს წართაცი სპორტში მეცადინეობით.

ბურჟუაზიულ ქვეყნების მიერ სამხედრო ქიმიის და საჰაერო ფლოტის გასაძლიერებლად წარმოებულ მუშაობის საპასუხოდ ჩვენი კავშირის მშრომელებმა უკვე დასჭიმეს მთელი თავისი ძალ-ღონე, რომ გაამაგრონ წითელი სამხედრო საჰაერო ფლოტი და გააძლიერონ თავდაცვის ქიმიური საშუალებანი. ეხლა ჩვენს ამხანაგების წინაშე სდგას ამოცანა დავეწიოთ მტერს სროლის კარგათ შესწავლაშიც.

ჩვენი კავშირის ყოველ მშრომელს უნდა ახსოვდეს, რომ დადგება ისეთი დრო, როცა მას იარაღით ხელში დასჭირდება თავისი მონაპოვართა დაცვა; ყოველ მუშას უნდა ახსოვდეს, რომ იარაღის ხელში დაკავება ერთია და მისი კარგად მოხმარება—მეორეა. ამიტომ შეუძლებელია იმის ცდა თუ როდის გვაიძულებენ იარაღი ავიღოთ ხელში, არამედ საჭიროა ეხლავე ავიღოთ ხელში შაშხანა და კარგად შევისწავლოთ მისი ხმარება.

**საბჭოთა კავშირში არ უნდა იყოს არც ერთი მშრომელი, რომელსაც არ ეცოდინება იარაღის ხმარება.**

**პროლეტარებო, იძლევი კარგ მსროლელს!**

კალინინი.

ტომსკი.

ჩაპლინი.

ს. კამენევი.

# ᲒᲐᲣᲡᲬᲝᲠᲔᲑᲔᲚ ᲛᲝᲜᲘᲡᲘᲐᲕᲔᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ორი სამი თვის წინათ ჩვენ ავღნიშნეთ სამხედრო კოოპერატივის მიერ გაცემულ კრედიტის თავის დროზე არ გადახდის შესახებ. რადგან ამ უკანასკნელ ხანებში კრიზისს განიცდიან კოოპერატივები და მასთან ჩვენი სამხ. კოოპერატივიც, მოუწოდებდით მათ ვისაც რაიმე დავალიანება ქონდა სამხედრო კოოპერატივის თავის დროზე გადაეხადათ ვალი. სავალდებულოდ უნდა ავღნიშნოთ რომ გარდა სამთვიან ვადით წაღებული კრედიტებისა ძალიან მცირე რიცხვმა შემოიტანა ძველ ნისიის საფასური. ასეთი უმადურობა კოოპერატივისადმი პირდაპირ წარმოუდგენელია, ასეთი საქციელი ხელს უწყობს კოოპერატივის განადგურებას.

ერთი შეეკითხონ ამ მონისიავეებმა თავიანთ თავს საიდან და რა საშვალებით პოულობს კოოპერატივი იმ საქონელს, რომელიც მათ ნისიათ წაიღეს. ნუ თუ გონიათ, რომ კოოპერატივს უფასოთ აძლევენ საქონელს მომხმარებელზე გასაცემათ?!

კარგათ უნდა იცოდენ მონისიავეებმა, რომ ჯერ საქონელს უფასოთ არავის აძლევენ ჩვენი სახელმწიფო სინდიკატები. ნუ თუ ვეღარ გაიგეთ, რომ ეს ამოდენა ბანკები იმიტომ გაიხსნა, რომ იქიდან თამასუქების საშუალებით კოოპერატივები სესხულობენ ფულს და სინდიკატებს აძლევენ საქონელში.

**აი ასეთი საქონელი** მოგართვა, ხელი გაგიწყო კოოპერატივმა და სამ თვეში უნდა გადაგეხადა წაღებული ვალი. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ერთ წელზეც მეტი გადის და ყურს არავინ იბერტყავს ვალების გადახდაზედ. არა ერთხელ მიუმართავს გამგეობას წერილობით ვალის გადახდის შესახებ.

მაგრამ იმდენათ გაკადნიერებულან მონისიავე პირები, რომ პასუხსაც არ იძლევიან. ამას გარდა გაზეთ „წითელ არმიელშიც“ იყო ოფიციალური განცხადება მევალეებისადმი და არც მას გამოეხმაურა არც ერთი პირი. რას ნიშნავს ყველა ეს?

იმას, რომ თითქოს წაგალლეტ და ვერაფერს მიზამო. მაგრამ ის პირები, ვისაც რაიმე დავალიანება აქვთ „ევკოგრუზის“ და ასე ფიქრობენ, მწარეთ სტყუვდებიან და ისე მოაწყობენ საქმეს, რომ ბოლოს სანანებლათ გაუხდებათ საქმე.

ამ მიზნით გამგეობამ უკვე გადადგა სათანადო ზომები და ნაწილი მონისიავეების უკვე გადაეცა სახალ. მოსამართლეს. ნაწილი კი მზადდება გადასაცემათ. აქვე უნდა ავღნიშნო ერთი გარემოება, თუ რომელიმე დიდ თანამდებობის პირს აქვს ვადით წაღებული ნისია, ის თვითონ იძლევა განკარგულებებს ამ თვეში ამდენი დამიჭირე კოოპერატივის ვალიო და ამ რიგათ ნაცვლად სამი თვისა ექვს თვეში აწორებს ვალს. აქ ისე გამოდის, რომ კოოპერატივის ქონებას ანაწილებს ვიღაც გარეშე პირი. ასეთს პირებს ვეტყოდით, რომ მეთოთხმეტე პარტკონფერენციის დადგენილებას ვერავინ ვერ შესცვლის, გარდა ყრილობისა და იქ არის ნაჩვენები, რომ არც ერთ გარეშე ორგანიზაციას (მით უმეტეს პიროვნებას) უფლება არა აქვს ჩაერიოს კოოპერატივის შინაურ საქმეებში. აი ამ ზომამდის მიიყვანა გამგეობა ზოგიერთმა პირებმა, რომლებიც თავიანთი ქცევით დიდ ზიანს აყენებენ კოოპერაციას, რისთვისაც სათანადო პასუხს აგებენ.

ს. ლომიძე.

# ᲨᲔᲜᲘᲚᲒᲕᲐ.

**როგორ სჩანს მსროლელი შორიდან თუ ახლოდან.**

სამხედრო საქმეში ახალი ტეხნიკური გაუმჯობესების შემოღების შემდეგ და აგრეთვე საჰაერო ფლოტის გაძლიერების გამო განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენიღბვას. ამ ჟამად შენიღბვას უმთავრესი ადგილი უკავია ტეხნიკურად სროლის შესწავლის საქმეში, რომელიც სავალდებულოა, როგორც უფროსისათვის, ისე მებრძოლისათვის. ამ რიგად ცოდნა, თუ როგორ უნდა მოხდეს შენიღბვა, სავალდებულოა ყველა სამხედრო პირთათვის.

მიუხედავად შენიღბვის ასეთი დიდი მნიშვნელობისა ბრძოლის, ლაშქრობის, დასვენების, დაზვერვის დროს, ამ უკანასკნელ მანევრებზე **ხშირად** წინააღმდეგნი იყვნენ შენიღბვაზე. შეიძლება ეს ჩაიდინეს რამოდენიმე ნაწილების მებრძოლებმა იმის გამო, რომ ეს იყო მანევრები და არა ნამდვილი ომი. შეიძლება ეს გამოიწვია იმ გარემოებამ რომ ისინი თავისუფლად გადადიოდენ ერთი ადგილიდან მეორეზე შეუნიღბველად.

როგორც კი არ უნდა მომხდარიყო ეს, ამას კი ვგრძნობთ, რომ შენიღბვაზე საჭირო ბაასის განმეორება უფრო დაწვრილებით და საფუძვლიანად.

რომ უკეთ შევიგნოთ შენიღბვის მნიშვნელობა, ამისათვის საჭიროდ მიმაჩნია დავიწყო იქიდან, თუ როგორ მოსჩანს მებრძოლი შორ და ახლო მანძილიდან, როცა გადარბის გაშლილ ველზე ერთი ადგილიდან მეორეზე.

შორ მანძილზე (1500 ნაბიჯი) შემოტევაზე გადმოსულ მსროლელები ძალიან ცუდად მოსჩანან, მოთვალთვალეს უძნელდება მოწინააღმდეგეს გამონახვა, თუ გინდ, ეს შეძლონ მათ, ეს მებრძოლები უეცრად ეკარგებიან მეთვალთვალეს. ამასთან ეს მსროლელები რა მდგომარეობაშიც არ უნდა იყვნენ ისინი (დაწოლილნი, დაჩოქილი, დამჯდარი თუ დამდგარი) მათი ნიშანში ამოღება ძალიან ძნელია.

ამ რიგად შორ მანძილზე ყოველი მსროლელი თავისთვის ინიღბება, რომ ის მტრის შეუმჩნეველი იქნეს.

**საშუალო მანძილზე (1500-800 ნაბიჯი)** შეტევაზე გადასული მსროლელები უკეთ სჩანან. ამ მანძილზე შეიძლება კარგად გარჩევა. მაგრამ აქაც ისინი ნიშანში ცუდი ამოსაღებია. გადარბენის დროს ყოველი მსროლელი კარგად მოსჩანს. აქედან დასკვნა, რომ საშუალო მანძილზე მსროლელები აუცილებლად უნდა შეინიღბონ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ კარგად ხედავს მოთვალთვალე.

ახლო მანძილზე (800-300 ნაბიჯი) მსროლელები მუდამ კარგად მოსჩანან, თითქმის დაწოლილების გარჩევაც შეიძლება. მათ ადვილად ამარცხებს მტერი. ამიტომ ასეთ მანძილზე მსროლელი ძალიან ფრთხილად უნდა იყოს, შენიღბვა აქ აუცილებლად საჭიროა; მოძრაობა უნდა ხდებოდეს ხოხვით, გადარბენა მოკლე, დაწოლის და სროლის დაწყების დროს უნდა დამალო მხრევი და თავი შენიღბული უნდა ქონდეს.

ი. ბარ.

# ᲡᲐᲰᲐᲔᲠᲝ ᲤᲚᲝᲢᲘᲡ ᲐᲚᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ.

### პლანერების აგება.

ამჟამად ტფილისში აგებენ სამ პლანერს ერთს—კავკ. წით. დროშ. არმიის ავიო-რაზმი, მეორეს—ავიოქიმის მეოთხე რაიsaბჭო და მესამეს—1-ლი საპლანერო წრე. პლანერები მზად იქნება სექტემბრის ბოლო რიცხვებში.

### ავიო- ნამუშევართა გამოფენა.

30 სექტემბერს ყოფ. სამხედრო ტაძრის ეზოში გაიმართება ავიოქიმის წრეების ნამუშევართა გამოფენა.

### პლანერთა შეჯიბრება.

განზრახულია ახლო ხანში მოეწყოს პლანერთა შეჯიბრება ამიერ-კავკასიის მაშტაბით. შეჯიბრებაზე მოწვეულ იქნებიან ჩრდილო-კავკასიის და ცენტრის წარმომადგენლები.

### ვერცხლის ლატარია.

ვერცხლის ლატარიის მოწყობის საქმე წარმატებით მიმდინარეობს. უკვე მოგროვილია სალატარიო ვერცხლის ნივთები.

ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმი ამით აცხადებს, რომ 11 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე ტფილისის აღმასკომის დარბაზში შესდგება აღმასკომის პლენუმის საგანგებო სხდომა მეფის ჯალათების მიერ 1905 წ. 11 სექტემბერს (29 აგვისტოს ძველი სტილით) ყოფილ ქალაქის თვითმართველობის დარბაზში დახოცილ მუშების ოცი წლის თავის აღსანიშნავათ.

**დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:**

1) მოხსენება 1905 წ. 11 სექტემბერს (ძველი სტილით 29 აგვისტო) მომხდარ სისხლიან ამბების შესახებ. მომხსენებელი ამხ. მ. კახიანი.
2) აღნიშულ ამბების მოწამეთა პირადი მოგონებანი.
3) ყოფილ ქალაქის თვითმართველობის დარბაზის, სადაც ეს ამბები მოხდა სახელის გადარქმევა,

საგანგებო სხდომაზე მოწვეულია აგრეთვე საბჭოს წევრები და ყველა ის პირი, ვინაც არიან ცოცხალი მოწამენი აღნიშნული შემთხვევისა. თხოვნა უკანასკნელთადმი: თავიანთი მოგონებანი წერილობითი ადრევე წარმოადგინონ პრეზიდიუმში.

**ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ.**

# ᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐᲓᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐᲗᲐᲒᲐᲜᲘ.

(გაგრძელება)

ტერნაწილების მცირე რიცხოვან კადრს უმეტეს შემთხვევაში უხდება დანაწილება, საკადრო ვალდებულებათა და აურებელ სხვა და სხვა ფუნქციების შესასრულებლად და სწორედ ამიტომ გასაკვირი არაა, თუ ძალების ასეთი დაქუცმაცების გამო კადრებში მოისუსტებენ ასეთი მუშაობანი.

**აი რატომ არის, რომ** ცვალებადელთა შემადგენლობიდან აქტივის გადიდებისა და მომზადების საკითხი, სოფლად სამხედრო-საგანმანათლებლო მუშაობის საწარმოებლად შეკრებათა შუალედ პერიოდებში—არის აქტუალური საკითხი და მისი გადაჭრა საერთო შეკრებათა ერთი ამოცანათაგანია.

ამ საკითხის სისწორით გადაჭრას ყველამ უნდა მოეკიდოს მთელი თავისი ენერგიით და მზრუნველობით.

იგივე, ჯერ კიდევ მცირე გამოცდილება წარსულიდან გვიჩვენებს იმას, რომ ამ საკითხს კადრები შეხვდენ „კაზიონურად“.

სოფლად მუშაობისათვის აქტიურ ამხანაგების მარტო გამოყოფით ცვალებადთა რიცხვიდან (უმთავრესად, როგორც ახკომკავშირიდან, ისე უპარტიოებიდან) აქტივის შექმნის საკითხი მთლიანად, რა თქმა უნდა არ გადაიჭრება.

ასევე არ გადაიჭრება ეს საკითხი ამ ამხანაგების მომავალი მუშაობისათვის **თეორეტიული მომზადებით.**

აქტიურ ამხანაგების აღმოჩენის შემდეგ, უკანასკნელებთან უნდა იწარმოოს **სპეციალურად პრაქტიკულმა მუშაობამ.** ამისათვის საჭიროა გამოყენებული იქნეს ყველა საშვალება და შესაძლებლობანი, რათა გაეცნოს აქტივს სამხედრო-საგანმანათლებლო მუშაობის მეთოდიკა.

1) პირველ რიგში მოწესრიგებული უნდა იქნეს მეთოდიურად ლენინის კუთხეების მუშაობა. (კერძოთ მიზანშეწონილი იქნებოდა ამ მუშაობის საწარმოებლად ერთი საცდელი ლენკუთხის გამოყოფა ნაწილში, გამოცდილ კადრელ ამხანაგების ხელმძღვანელობით).

შემდეგ უნდა მოგვარდეს მეთოდიურად ლენინის კუთხის სამხედრო განყოფილების მუშაობა.

ეს, ასე ვსთქვათ, პირველი მუშაობის ეტაპია აქტივთან.

2) მეორე ეტაპი იქნება ლენკუთხისა და მისი სამხედრო განყოფილების მუშაობის გამოცდილების გადატანა რომელიმე სამოქალაქო ორგანიზაციის კლუბის ლენინის კუთხეში, იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელიც აუცილებლად გახდეს **საჩვენებელ ლენკუთხეთ** და საჩვენებელ ლენკუთხის სამხედრო განყოფილებად.

3) კარგი მეთოდიური ხერხი იქნება, თუ კადრის ერთ რომელიმე შენობაში მოეწყობა **საჩვენებელი ქოხ-სამკითხველო სამხედრო კუთხით. ქოხ-სამკითხველო**ში მეთოდიურ მუშაობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

4) ენერგიულად და თვალსაჩინოდ უნდა იქნეს გამოყენებული საშეფო სოფელში მუშაობისათვის და მასში წარმოებულ პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობის გასაცნობად ყველა შესაძლებლობანი.

5) მეტად აუცილებელია სამოქალაქო პარტუჯრედებთან კავშირის თვალსაჩინო გამოყენება.

6) ყურადღება უნდა მიექცეს და საშვალება მიეცეს აქტივისტს ამა თუ იმ კომისიებში მონაწილეობის მიღებისათვის და სხვა.

7) ადგილი უნდა დაეთმოს მომავალ აქტივის მიზიდვის საქმესაც სპორტისადმი საერთოდ და კერძოთ კი სამხედრო (სასროლო) საქმისადმი.

8) დაბოლოს, ძლიერ სასარგებლო იქნება **სპეციალური წრეების დაარსება**, სოფლად სხვა და სხვა მუშაობის პრაქტიკული მხარეების შესასწავლად (კოოპერაცია, გლეხკომები და სხვა). უკანასკნელ შემთხვევაში, ამა თუ იმ სამოქალაქო მომუშავეების ჩათრევა ხელმძღვანელებად.

ზევით ჩამოთვლილით, რა თქმა უნდა, არ ამოიწურება აქტივთან მუშაობის ყველა მეთოდიური ფორმები.

ამ მეთოდიკის გაფართოება დამოკიდებულია ერთის მხრივ დროზე და მეორე მხრივ კი აქტივის ღირსებაზე.

მაგრამ ასე თუ ისე, კადრებმა უნდა შეიგნონ, რომ ცვალებადელებიდან გამოყოფილ აქტივის პრაქტიკულ მომზადების გარეშე, შეკრებათა შუალედ პერიოდებში მათ არ ეყოლებათ ადგილებზე ის ცოცხალი ძალა, რომელსაც მათ შეუძლიათ დააყრდნონ თავისი თვითმოქმედება და რომელთა საშვალებით ისინი უფრო დაუახლოვდებიან სოფელს, ისე როგორც ეს უკანასკნელი მჭიდროდ შეუერთდება კადრს.

ნ. დიმიტრიევი.

# ᲢᲔᲠ-ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ



ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲢᲔᲠ-ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲝ.

## ᲒᲝᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲝᲪᲮᲚᲐ ᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐᲓᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲡᲕᲚᲐᲛ.

სტიქიამ გაანადგურა ქართლის გული გორი. რაც შენდებოდა ადამიანის ხელით რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში დაინგრა ერთ წუთში. მენშევიკური მთავრობა ვითომ სცდილობდა აღედგინა დანგრეული გორი: გროვდებოდა ფული, მაგრამ გორამდის არ მიუღწევია ამ ფულს, იფლანგებოდა სათავეშივე. არც ერთი სახლი არ აშენებულა გორში. გასაბჭოების შემდეგ კი დაეტყო გორს გამოცოცხლება:

შენდება სახლები, სხვა და სხვა დაწესებულებები, კეთდება ქუჩები. გახიზნული მცხოვრებნი უბრუნდებიან დანგრეულ კერას. მალე ვიხილავთ სრულიად აღდგენილ გორს.

გორი მეტად გამოაცოცხლა ჯარის დაბანაკებამ. განახლდნენ ყაზარმები. გაისმის ყოველ დღე სამხედრო მუსიკის გრიალი. ათასობით დაფუსფუსებენ ქუჩებში და მოედნებში წითელ არმიელნი და მეთაურნი. სამხედრო კლუბში ყოველ დღე იმართება საღამო-წარმოდგენები. დიდი ხანია ასეთი სურათი არ უნახავთ გორელებს.

წელს საზაფხულოდ №ლეგიონი გავიდა საბანაკოდ მინდორში. ლამაზი სანახავია ეს ბანაკი: კარვები ბზინავენ თეთრად, ისმის ჟრიამული, სიმღერა. სოფლიდან მომავალი გლეხები გაკვირვებული უცქერიან ამ უცხო სანახაობას. დღეს არაჩვეულებრივ სურათს წარმოადგენს ბანაკი: აუარებელი ხალხი ირევა კარვებთან. ესენი არიან ცვალებადელნი. საბჭოთა ხელისუფლების დაძახებაზედ გამოცხადდენ როგორც ერთი კაცი, არავინ დაკლებია. მოვიდნენ, რომ მიიღონ სამხედრო და პოლიტიკური ცოდნა, რომ უფრო გაამაგრონ მუშურ-გლეხური სახელმწიფო. მოწყენილობა არავის არ ეტყობა, არავინ არის დაღონებული, ყველა მხიარულია.

დღევანდელი დღის პირველი ტერ შეკრების აღსანიშნავად საბანაკო კლუბში გაიმართა საღამო. ამოვიდნენ ქალაქიდან სტუმრათ მუშები, და სხვა და სხვა დაწესებულების წარმომადგენლები. ისმის სიმღერა, გაიმართა ცეკვა თამაში.

იწყება საღამო. ითქვა სიტყვები ტერ-შეკრებაზე, მის მნიშვნელობაზე. კლუბის ძალებით დაიდგა პიესა, წითელ არმიელებმა იმღერეს, სთქვეს ლექსები.

უკვე დაღამებული იყო, საღამო რომ გათავდა. სტუმრები წავიდ-წამოვიდნენ. დაღალული წ. არმიელები და ცვალებადელნი მიეცნენ ტკბილ ძილს სუფთა ჰაერზე.

ი—ა.

## ᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐᲓᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲘ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ.

**მეორე საარტილერიო ლეგიონი.**

ჩვენი ლეგიონი დიდი ხანია შეუდგა ცვალებადელების შესახვედრ საღამოსთვის მოწყობის სამზადისს. საღამო მოეწყო ახალგაზრდათა საერთაშორისო დღესასწაულთან დაკავშირებით.

6 სექტემბერს ყველა ნაწილებმა თავი მოიყარეს არმიის და ფლოტის ბაღში, სადაც მე-2 არტლეგიონის მიერ გაიმართა საღამო წარმოდგენით. წინასწარ გამოვიდნენ ამხანაგები და დაახასიათეს, როგორც ახალგაზრდათა საერთაშორისო დღის მნიშვნელობა, ისე ტერსისტემა.

შემდეგ წავიდა წარმოდგენა ქართულ-რუსულად, დაბოლოს იმღერა მომღერალთა გუნდმა.

წითელარმიელები დიდი კმაყოფილი დაიშალნენ.

ა. კ.

## ᲢᲔᲠᲨᲔᲙᲠᲔᲑᲐ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ.

**6-ხე ლეგიონის 3-მე ათასეული.**

1901 წელში დაბადებულ ცვალებადთა შეკრება წარმატებით დამთავრდა ჩვენს ათასეულში.

2 სექტემბერს შეკრება უკვე ასი პროცენტით იყო ჩატარებული. 3-სექტემბერს კა გამართული იქნა მიტინგი და ალღუმი, რომელშიდაც მონაწილეობა მიიღო რუსის ცხენოსანმა ლეგიონმა. ადგილობრივმა მოქალაქეებმა დიდი ოვაციები გაგვიმართეს და მხურვალე მონაწილეობას ღებულობდენ საზეიმო ალღუმში.

მიტინგის დროს მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდენ სხვა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები, რომლებიც გულწრფელად ესალმებოდენ ტერსისტემის შემოღებას, რომელსაც მათი სიტყვით აუარება სარგებლობა მოაქვს ქვეყნის ეკონომიურ სამეურნეო და სხვათა აღმშენებლობის საქმეში.

მიტინგის შემდეგ ცვალებადელებით, 3-მე ათასეული მხიარული ყიჟინით გაემართა სადგურისაკენ ლეგიონში გასამგზავრებლად.

გზაზე ყველგან ალტაცებით და გულმხურვალე გრძნობებით გვხვდებოდენ და გვისტუმრებდენ.

არმიელებიც მხიარულად ეგებებოდენ ყველას და მოუთმენლად ელოდენ ლეგიონში მისვლას.

ნავთლუღში დაგვხდენ ლეგიონის თავი და სამხკომი, რომლებმაც გულმხურვალედ მოგვესალმენ.

ტერ-არმ. მიქელაშვილი.

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ.

**მე-6-ხე ლეგ. მე-3-მე ათასეული.**

მიუხედავათ იმისა, რომ ათასეულს სულ სხვა განსაკუთრებულ ძნელ პირობებში უხდებოდა მუშაობა, სხვა ათასეულებთან შედარებით ათასეული მაინც თავის დონეზე სდგას და ენერგიულად აწარმოებს მუშაობას. შეკეთებული იქნა კარვები, მოეწყო საწოლები ტერ-არმიელებისათვის. უმთავრესი ყურადღება კი ექცევა პოლიტიკურ მუშაობას, მოსვლისთანავე პოლიტხელები შეუდგენ ლენინის კარვების მოწყობას. დღეს ჩვენს ათასეულში არის მოწყობილი სამი ლენ კუთხეები, რომლებსაც ამშვენებს ჩვენი ბელად ილიჩის სურათები. მაგიდები დაფარულია წითელი გადასაფარებლებით, გამოფენილია გაზეთები და სხვა და სხვა ბროშურები.

მეთაურ ასეულის ლენკუთხის წინ, საგანგებოთ მოწყობილ დაფაზედ არის გამოკიდებული ჩვენი კედლის გაზეთი „ტერ-არმიელი“ № 5-თი რომელიც დიდ ყურადღებას იქცევს როგორც გარეგნულად ისე თავისი შინაარსით.

კარვის მეორე მხარეზედ არის ცნობათა ბიურო ყ თი სათანადო მაგიდით, წარწერით და სხვა საჭირო ნივთებით; ყოველ გვარი მეცადინეობა ნორმალურად სწარმოებს.

პოლიტ სათები მიმდინარეობს ყოველ დღე.

# ᲑᲐᲜᲐᲙᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ.

## ᲔᲥᲡᲙᲣᲠᲡᲘᲐᲖᲔ.

**1-ლ ლეგიონის ბატარეია.**

4 სექტემბერს 1-ლ ლეგიონის ბატარეია მხიარულათ და სიმღერით გაემგზავრა სასაკლაოს და მის მუზეუმის დასათვალიერებლათ.

მისვლისთანავე შეუდეგით სასაკლაოების დათვალიერებას, რომელიც დიდ ინტერესს იწვევდა ყველაში.

შემდეგ უფროსმა ექიმმა მიგვიწვია მუზეუმში, იქ ყველაზე უფრო დააინტერესა ამხანაგები სხვა და სხვა მახინჯი პირუტყვების ნახვამ. აქვე აგვიხსნა ექიმმა ყველანაირი საქონლის ავადმყოფობა, და თანაც გვიჩვენა გამადიდებელი შუშით, ამ ავადმყოფობის გამომწვევი ბაცილები.

სასაკლაოს დათვალიერებამ ყველას შესძინა ახალი რამ და მხიარულათ და სიმღერით დავბრუნდით ნაწილში.

ფშნის-პირელი.

## ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲛᲮᲙᲝᲠᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ.

**1-ლ ლეგიონის სამხკორთა წრის საქმიანობიდან.**

8 სექტემბერს შესდგა 1-ლ ლეგიონის სამხკორთა წრის კრება, რომელსაც ყველა სამხკორები დაესწრენ.

დღის წესრიგში გვქონდა გასარჩევი ორი საკითხი: უვადო შვებულებაში მიმავალ სამხკორების მოვალეობის გაცნობა, და მე-2-ე იმ სამხკორების შესახებ, რომლებიც ჯერ-ჯერობით რჩებიან სამხედრო ნაწილებში.

1-ლ საკითხზე ვრცელი მოხსენება გააკეთა სამხკორთა წრის ხელმძღვანელმა ამხ. იმნაიშვილმა. ამხ. გააცნო კრებას ის დიდი მოვალეობანი, რომელთა შესრულებაც უნდა იკისრონ იმ სამხკორებმა, რომლებიც ამ ახლო მომავალში გახდებიან გლეხკორებათ.

უნდა ებრძოლონ სოფლად ყოველნაირ უკუღმართობას. ამ მხრივ ნაწილში მიღებული პრაქტიკა სრულებით უნდა იქნეს გადატანილი ამხანაგებისაგან, სოფლის სინამდვილეში და როგორც აქ, ისე იქაც ფხზილად ადევნებდენ თვალს ყველა ნაკლულევანებებსა და მიღწევებს.

მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს თუ როგორ მუშაობს გლეხკომი, კოოპერატივი, როგორია სკოლების მდგომარეობა და სხვა მრავალი, ერთი სიტყვით ჩვენი მიმავალი სამხკორები უნდა იყვნენ სოფლის ფხიზელ გუშაგებათ.

ამხანაგი შეეხო იმასაც თუ როგორი მზრუნველობით უნდა მოეკიდონ ამხანაგები სოფლად გაზეთების გავრცელების საქმეს, განსაკუთრებით გაზეთ „წითელ არმიელი“-ს.

თუ არ არსებობს სოფლად კედლის გაზეთი, უნდა შექმნან საამისო პირობები და გამოუშვან ის.

ამასთან ერთად ამხ. ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მიმავალმა ამხანაგებმა არ უნდა დაივიწყონ მათი აღმზრდელი გაზ. „წითელი არმიელი“ და მიაწოდონ მას ცნობები სოფლის ცხოვრების შესახებ.

მეორე საკითხზეც მომხსენებელი აცხადებს იმ სამხკორების საყურადღებოდ, რომლებიც ჯერ-ჯერობით რჩებიან ნაწილში, რომ არ შეასუსტონ თანამშრომლობა პრესაში და გააბან ქსელები ასეულებში, შეაჩვიონ არმიელები წერილების წერას და სხვა. ამასთანავე კედლის გაზეთებს მიაქციონ უდიდესი ყურადღება და დააყენონ თავიანთ სიმაღლეზე.

სამხკორი გ. მარგიშვილი.

## ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ.

ცენტრალური ბიბლიოთეკა ემსახურება თბილისში მდგომ როგორც ქართულ ისე რუსულ ნაწილებს.

ამ ჟამად ბიბლიოთეკას ჰყავს 350 ინდივიდუალური და 7 კოლექტიური მკითხველი.

სამკითხველოში მოსიარულეთა რიცხვი უდრის საშუალოდ დღეში 30 კაცს.

სამკითხველოს მოსდის ყველა პერიოდული გამოცემები, როგორც საქართველოსი, ისე რუსეთის.

ბიბლიოთეკაში მოიპოვება ყველა ახლად გამოცემული წიგნები.

სამხედრო განყოფილება მდიდარია რუსულ წიგნებით. სამწუხაროდ სრულიად არ მოიპოვება წიგნები ქართულ ენაზე.

პოლიტიკური განყოფილება მდიდარია ქართული წიგნებით.

ზაფხულის განმავლობაში მიქცეული ჰქონდა ყურადღება მოძრავ ბიბლიოთეკების მოწყობას სხვა და სხვა ნაწილებისთვის.

ამჟამად უკვე მოწყობილია და მოქმედობს სამი ბიბლიოთეკა.

უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ-არმიელთათვის ბიბლიოთეკა ამზადებს წიგნების სარეკომენდაციო სიებს, რომელნიც საჭირო არიან სოფლად მუშაობისთვის.

ბიბლიოთეკამ შეადგინა და გამოაქვეყნა სარეკომენდაციო სიები შემდეგ დარგებში: მეცადინეობა პოლიტშემადგენლობასთან. მეცადინეობა უფშემადგენლობასთან, მეცადინეობა ცვალებადელებთან.

აგრეთვე ბიბლიოთეკა ატარებდა ტეხნიკურ მუშაობას: დამუშავება წიგნების და მათი კლასიფიკაცია.

ბიბლიოთეკის მუშაობას ძლიერ აფერხებს მომუშავეთა რიცხვი: ამ ჟამად მუშაობს მხოლოდ ორი კაცი; სამუშაო დიდია და მოითხოვს დიდ ენერგიის ხარჯვას.

პოლიტ-განყოფილებამ უნდა მიაქციოს ამას ყურადღება და გაადიდოს როგორმე ბიბლიოთეკის შტატი. ეს მისცემს საშვალებას მას გააფართოვოს მუშაობა და მეტი სარგებლობა მოუტანოს ნაწილების ბიბლიოთეკებს.

ელეაზარ.

## ᲐᲡᲔᲗ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ.

**პირველი საარტილერიო ლეგიონი.**

იქ, სადაც ქართული საარტილერიო ლეგიონია მოთავსებული, ცხოვრება აუტანელია წ.-არმიელებისთვის. ყველა ყაზარმების გვერდით არის გაკეთებული ფეხის ადგილები, რომლიდანაც გამოდის საძაგელი სუნი და მთლად ხშამს ყაზარმის ეზოში მყოფ ადამიანს. ამას გარდა ადვილი მოსალოდნელია ამ სიბინძურემ გააჩინოს გადამდები ავათმყოფობა, როგორიცაა ხოლერა და სხვა.

საჭიროა ყურადღების მიქცევა და ბრძოლა ამ უსუფთაობის წინააღმდეგ, თორემ ბოლოს გვიან იქნება.

მიაქციეთ ყურადღება ვისაც ეს გეხებათ.

წ.-არმიელი ბ. ბარათაშვილი.

---

დაარსებულია 12 ჯგუფი რომლებსაც ხელმძღვანელობენ მეთაურთა სკოლიდან მოვლინებული უფროსი კურსის კურსანტები.

ათასეულის შემადგენლობა წმინდა ქართველურია.

დისციპლინა მტკიცედ არის დაცული. კვება ყველას აკმაყოფილებს. ფქვილს თუ უფრო ყურადღებით მოეპყრობიან, შეიძლება უფრო კარგი პურის მიღება. ბანაკი სულ ერთიანათ განათებულია ელექტრონით.

ლენინის კარვებს აქვთ საკუთარი სანათურები, სადაც ყველა არმიელს შეუძლია თავისუფლად წაიკითხოს გაზეთი და ჩაატაროს ბირთვების-მეცადინეობაც.

დ. ჭანკვეტაძე.

## მოგვეცით სინათლე.

1-ლ ლეგ. კომენდანტის საყურადღებოთ.

1-ლ ლეგიონის 3 ბატარეია დიდი ხანი არ არის რაც ბანაკიდან მოიხსნა და დაუბრუნდა საზამთრო ბინას. შენობის განსანათებლად მოგვცეს 3-მი სანათური.

ერთი მათგანი დერეფანში გავაკეთეთ, 2-რე საწოლ შენობაში, და 3-მე კი წითელ კუთხეში. მიუხედავად ამისა საწოლ შენობას და წითელ კუთხეს არა აქვთ საკმარისი სინათლე. საჭიროა კიდევ მოგვცეს სანათურები 2-ცალი მაინც, თორემ შეუძლებელია საღამოობით გაზეთ-წიგნების კითხვა.

იმედია კომენდანტი ყურადღებას მიაქცევს ამ გარემოებას.

სამხედრო უ-ტი.

## მეტი ყურადღება სახაზინო ნივთებს.

1-ლი საკავშირო ასეული.

სამშაბათს, 8 ენკენისთვეს ჩვენს ასეულში გაცემული იყო ბრძანება რათა წითელ არმიელებს დაეწმინდათ შაშხანა თოფები.

სადილის შემდეგ ასეულის ზემდეგმა გამოატანია ყველა წითელ არმიელებს თოფები ეზოში, და რომ დაწმენდილი თოფის ნაწილები მიწით არ დასვრილიყო ამხ. ზემდეგის განკარგულებით გამოიტანეს რამოდენიმე წითელ არმიელების საბნები, დააფინეს ძირს მიწაზედ, და ზედ აწყობდენ თოფის ნაწილებს და ის კი დაავიწყდა ზემდეგს, რომ ეს საბნები დაისვრებოდა თოფის ზეთით და ზედ სიარულით.

ერთის გაფუჭებას მოერიდენ და მეორე გააფუჭეს. შეიძლებოდა კი რომ არც ერთი არ გაფუჭებულიყო, სახაზინო ნივთს რაც არ უნდა იყოს მოვლა უნდა, მით უმეტეს საბანს, რომელიც რამოდენიმე წლის განმავლობაში უნდა ემსახუროს წითელ მოლაშქრეებს.

იმედია ასეთ შეცდომებს შემდეგში აღარ ექნება ადგილი.

სამხედრო ჭინკა.

## წყალში დახრჩობის წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოება.

როგორც ვიცით უკანასკნელ ხანებში ძლიერ გახშირდა მტკვარში დახრჩობის შემთხვევები, რის გამოც ძლიერ საფრთხილო გახდა მტკვარზე ბანაობა. აღნიშნულ შემთხვევებთან ბრძოლის მიზნით დაარსდა წყალში დახრჩობასთან მებრძოლი ტფილისის საზოგადოება, რომელმაც თავისი მუშაობა დაიწყო 4 სექტემბრიდან.

საზოგადოებას განზრახული აქვს მოაწყოს ე. წ. მხსნელი პუნქტები მდინ. მტკვარზე სხვა და სხვა ადგილას. პირველი პუნქტი მოეწყობა ვერის ბორანთან. პუნქტები მომარაგებული იქნებიან მათთვის საჭირო ყოველნაირი მოწყობილობებით და საექიმო ხელსაწყოთი დაშავებულთათვის პირველი საექიმო დახმარების აღმოსაჩენათ.

პუნქტების მოწყობისას მიქცეული იქნება ყურადღება აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ მტკვრის ნაპირები ხშირათ იცვლიან მდებარეობას და ამიტომ მოწყობილი იქნება მოძრავი ბაქანები.

ვერის პუნქტის მოსაწყობათ ამთავით გადადებულია 500 მანეთი. აღნიშნულ პუნქტის ოფიციალური და საზეიმო გახსნა მოხდება კვირას, 13 სექტემბერს.

სულ ტფილისის მიდამოებში მტკვარზე მოწყობილ იქნება 5 პუნქტი. გარდა ამისა ყველა ხიდეებზე მომარაგებული იქნება აგრეთვე, წყალში ჩავარდნილთა სახსნელი ხელსაწყოები.

## ამბები სოფლებიდან

**კინო გლეხებისათვის.**

შორაპნის სამაზრო გლეხკომმა ჩამოატარა მოძრავი კინო სოფ. ქვაციხეში, კაცხში და რცხილათში.

**ტყეების დაცვა.**

სოფ. ქვაციხის (შორ. მაზრა) გლეხებმა დაადგინეს თვითონ მიიღონ ზომები ადგილობრივი ტყეების დასაცავათ.

**გლეხების შუამდგომლობა.**

ქვემო რაჭის სოფ. ბაჯის, ქვედა-შავრის და ღადიშის მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს აღნიშნულ სოფლებიდან ცალკე თემის დაარსების შესახებ.

**წყაროს გაყვანა.**

სოფ. ალის (გორ. მაზრა) მცხოვრებლებმა დაადგინეს სასწრაფოთ შეუდგნენ სოფელში წყაროს გაყვანას.

**საბავშვო ბაღის მოწყობა.**

ახალციხის აღმასკომმა გადაწყვიტა მოაწყოს ადგილობრივ საბავშო ბაღი, რის შესანახად ყოველთვიურად გადასდებს საჭირო თანხას.

**კოოპერატიული სასადილოები.**

შორაპნის სამაზრო გლეხკომმა დაადგინა ყველა წითელი სასადილოები, რომლებიც მაზრაში არიან გახსნილი გადააკეთონ კოოპერატიულ სასადილოებათ.

## ახალი ამბები.

— **წიგნი წითელ მეომრებს.** გამოვიდა და ნაწილებს უკვე დაეგზავნათ ახალი წიგნი „წითელ მეომარს ფიზკულტურის ცოდნისათვის“.

— **ქართველი უდიენბი.** საქ. ცაკმა შუამდგომლობა აღძრა აზერბეიჯანის ცაკის წინაშე, რათა საქართველოში გადმოსახლებულ უდიენებს მიეცეთ ნება გაყიდონ აზერბეიჯანში მათი კუთვნილი ნაშენობანი.

— **ფეთრეულობის ნაქსოვები.** შრომის კოლექტივების გამგეობამ საქსოვ ქარხანასთან გახსნა თეთრეულობის საქსოვი ცეხი.

— **დაზღვეულთა რაოდენობა.** მთელ საქართველოში ამ ჟამად აღწევს 83.000 მუშა მოსამსახურეს.

— **შრომის კოლექტივები.** შრომის სახალხო კომისარიატის მიერ დღევანდლამდე მოწყობილია 50-ზე მეტი შრომის კოლექტივი.

— **ჯიშიან ცხვრების მოშენების** მიზნით საქ. სას.-სამ. ბანკმა გადასწყვიტა გასცეს 10 ათასი მანეთი.

— **პენსიები მასწავლებლებს.** საქ. ცაკმა დაამტკიცა სია პენსიონერ მასწავლებლებისა.

— **სტენოგრაფისტების ორგანიზაცია.** ტფილისში მოეწყო სტენოგრაფისტების კომიტეტი.

## სასოფლო მეურნეობა
## არის თუ არა ლობიო სასარგებლო მცენარე.

ლობიოს თესვა მოყვანა ჩვენში ძალიან არის გავრცელებული, მას თესვენ როგორც ცალკე, ისე სხვა მცენარეებთან შერევით. განსაკუთრებით ბევრი ითესება ლობიო სიმინდში-ბამბაში, ბაღში, ვენახში და ბოსტანში. ლობიოს ასეთი ფართე გავრცელება ზოგს საზარალოდ მიაჩნია. მაგრამ ეს არ არის მართალი, რადგან ლობიო მეტად სასარგებლო მცენარეა:

1. უპირველესად ყოვლისა ლობიოს მარცვალი ჩინებული საკვებია ადამიანისათვის. იგი გაცილებით უფრო ნოყიერია ვიდრე პური და სიმინდი. ლობიო ხშირად ხორცისა და ყველის მაგიერობასაც კი სწევს ხოლმე, რადგან თავისი შემადგენლობით ლობიო ნაწილობრივ უახლოვდება მათ. საჭმელად კარგია როგორც მწვანე ლობიო, ისე დამწიფებული მარცვალი. ამასთანავე იგი შედარებით იაფიცაა.

2. ცალკე დათესილი ლობიო მეტ შემოსავალს აძლევს იწის მუშას, ვიდრე პური ან სიმინდი. ეს იმიტომ, რომ ლობიომ კარგი მოსავალი იცის. ამასთანავე იგი სიმინდზე და ხშირად პურზე ძვირადაც კი ფასობს ხოლმე. ამის გამო ლობიო უფრო უკეთ ანაზღაურებს მასზე გაწეულ შრომას, ვიდრე მინდვრის სხვა მცენარეები.

3. გარდა ამისა ლობიო იმითაც არის სასარგებლო, რომ იგი ამდიდრებს ნიადაგს. ნალობიარზე დათესილი სხვა მცენარე გაცილებით უკეთეს მოსავალს იძლევა, ვიდრე ნასიმიდარზე ან ნაპურალზე დათესილი. ამის მიზეზი ის არის, რომ ლობიოს ფესვებზე აქვს კოჟრები, რომლებშიც დაბუდებული არიან თვალით უხილავი პატარა არსებანი. ეს სწორედ ისენი უწყობენ ხელს ნიადაგის (მიწის) განოყიერებას. ამასთანავე ლობიოს ნათესებს ზაფხულის განმავლობაში რამოდენიმეჯერ გათოხნა და გამარგვლა სჭირდება, რაც ხელს უწყობს ნიადაგის გასუფთავებას მავნე და ზედმეტ ბალახებისაგან. გასუფთავებულ მიწაზე კი შემდეგ წელს სხვა ჭირნახულიც უკეთ მოდის.

როგორც ვხედავთ, ლობიო ბევრნაირად ყოფილა სასარგებლო:

**იგი ჩინებული, ნოყიერი და მასთანავე იაფი საკვებია ადამიანისათვის, თავისი კარგი მოსავლით უკეთ ანაზღაურებს მიწის მუშის შრომას, გარ. და ამისა ამდიდრებს და ანოყიერებს ნიადაგს და ხელს უწყობს მავნე ბალახების მოსპობას.**

გა. ძე.

## პასუხი შეკითხვებზე.

**კითხვა.** შვებულებაში წასულ წითელ არმიელების ოჯახები რამდენ ხანს თავისუფლდებიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან?

წ. არმ. **ცხვირაშვილი.**

**პასუხი.** თანახმად რევსამხსაბჭოს ბრძანებისა №1520 უვადო შვებულებაში წასულ წ. არმ. ოჯახები თავისუფლდებიან ნახევარ გადასახადისაგან ერთი წლის განმავლობაში, თუ ოჯახში არ იყო არავინ მშრომელი, მის, ე. ი. წითელ არმიელის გარდა.

**კითხვა.** მე ვმსახურებ წითელ ჯარში. სახლში მყავს ათი სული სარჩენი, ყველა შრომის უნარს მოკლებულნი. მყავს ერთი ძმა, რომელსაც თავისი ცოლშვილი ყავს სარჩენი. სხვა და სხვა გადასახადები გადახდება თუ არა ჩემს ოჯახს?

წ. არმ. **გონგლაძე.**

**პასუხი.** წითელ არმიელების ოჯახები თავისუფლდებიან გადასახადისაგან იმ შემთხვევაში, თუ მათ ოჯახში არავინ არის მშრომელი, გარდა თვით წითელ არმიელისა. რევსამხსაბჭოს ბრძანება №1520.

**კითხვა** ვცხოვრობ სასამართლოს ქუჩაზე, სახლი №... მიჭირავს ერთი ოთახი სივრცით 22 კვად. არშინი. სახლის პატრონი თვეში მთხოვს 7 მანეთს. გთხოვთ მიპასუხოდ რამდენი ერგება სახლის პატრონს ოთახის ქირა? თვეში ვღებულობ ოცდა სამ მანეთს.

ათისთავი **დომენტი ხუციშვილი.**

**პასუხი.** თანახმად საკავშირო ცაკის დადგენილების №197 წითელ არმიელის ოჯახები გათანასწორებულია ბინის ქირის გადახთაში სახელმწიფო დაწესებულების მუშებთან და მოსამსახურებთან, რომლებიც იღებენ თვეში მინიმალურ ჯამაგირს. თანახმად ქალაქის აღმასკომის დადგენილებისა (მარტი 1925 წ.) თქვენ უნდა გადაიხადოთ კვ. არშინზე კაპეიკნახევარი სულ 33 კაპეიკი თვეში 25 პროცენტის გამოკლებით, როგორც სამხედრო პირი.

**კითხვა.** გთხოვთ გვიპასუხოთ 1902 წ. დაბადებულები რომლებიც არიან გაწვეულნი ტერნაწილებში 15 ივნისიდან ღებულობენ თუ არა ჯამაგირის ორ მესამედს იმ დაწესებულებიდან, სადაც ისინი მსახურებდენ ჯარში გაწვევამდე?

წითელ არმიელები.

**პასუხი.** არ ღებულობენ.

ამხ. **ნატაშვილს.** გთხოვთ გვაცნობოთ რომელ წელს ხართ დაბადებული.

## წითელ არმიელთა საყურადღებოდ

**ქართულ დივიზიების პროკურატურასთან** დაარსდა სამხედრო მოსამსახურეთა

## იურიდიული დახმარების საკონსულტაციო ბიურო.

ბიუროს სხდომები გაიმართება წითელ არმიის და ფლოტის სახლში, კვირაში ერთხელ შაბათობით საღამოს 8-10 საათამდე. პირველი სხდომა დანიშნულია შაბათს, 12 სექტემბერს. სხდომის წინ წაკითხული იქნება მოხსენება რევოლიუციონურ კანონიერების შესახებ და საკონსულტაციო ბიუროს დანიშნულებაზე. ყოველ მსურველს სამხედრო მოსამსახურეთაგანს შეუძლია მიმართოს ზემოდ აღნიშნულ ბიუროს რჩევა-დარიგების მისაღებად.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

2-რე საარტილერიო ლეგიონის საგაუბიცო ბატარეის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება კომ-პარტიაში შემოსვლის შესახებ შემდეგ ამხანაგებს:

1) კოლუაშვილი ივანეს და 2) ყრუაშვილი დიომინეს.

კომუჯრედი სთხოვს ყველა ამხანაგებს თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო მათ მიმართ ერთი კვირის განმავლობაში აცნობოს კომუჯრედს.

კომუჯრედის მდივანი **ლმ...ვა.**

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. აბრანიძეს** (პირვ. ლეგ). თქვენი საპასუხო წერილი ამხ. „პრიზისადმი“ არ გავა.

**ამხ. წ. არმიელს** (პირვ. ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია „ავი ზემდეგი“ არ გავა. თქვენ ერთი საბუთიც არ მოგყავთ მისი სიავის შესახებ.

**ამხ. დ. მჭედლიშვილს.** თქვენი წერილი სამნეო ასეულის ცხოვრებიდან, არ გამოდგა.

**ამხ. ალ. ხუტულაშვილს** (მეორე ლეგ) თქვენი კორესპონდენცია „ლაგამი ამოსდევით ასეთ არმიელს“ გადაეცით ადგილობრივ კედგაზეთში.

**ამხ. ქვემეხს.** თქვენი წერილი „2-რე არტლეგ, პარტიულ ცხოვრებაზე. არ გავა. ასეთი იყო ჩვენს გაზეთში.

**ამხ. გ. ჩ—ი-ს** (პირვ. ლეგ.) წერილი „მადლობის ღირსია ასეთი მუშაკი“ არ დაიბეჭდება.

**ამხ. დურუქიშვილს.** (პირ. ლეგ.) შემოიარეთ რედაქციაში.

**ამხ. ლაცაბიძეს.** (1-ლ არტლეგ.) წერილი „მოგვაქციეთ ყურადღება“, გამოდგება კედლის გაზეთში.

**დაიკარგა** პირველ ქართულ ლეგიონიდან მოცემული პირადობის მოწმობა №5739 გრიგოლ გამრეკელის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

ნ. ღ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.